



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 10 მარტი, 2017 წელი

დრო: 13:00 – 15:00 საათი

შეხვედრის ადგილი: Frontlineclub Georgia

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ქეთევან ვაშაკიძე - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ევროპის ფონდი
2. ლაშა ტულუში - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ევროპული ინიციატივა ლიბერალური აკადემია თბილისი
3. მანანა ბიწამე-მიქელაძე - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, თავისუფალი არჩევანი
4. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
5. თენგიზ სვანიძე - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია ”საქართველოს ჩაი“
6. ნანა ფიროსმანაშვილი - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
7. თამაზ ვაშაკიძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
8. ნინო ხუხუა - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
9. რაისა ლიპარტელიანი - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
10. ვიტალი გიორგაძე - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი
11. კახა გოგოლაშვილი - აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული კოორდინატორი, რონდელის ფონდი

განსახილველი საკითხები:

- 2016 წლის შედეგების შეჯამება;
- მუშაობის გამჭირვალობის საკითხი (გავაცნოთ წევრებს შერჩევის წესები ბრიუსელის ფორუმისთვის; გავაცნოთ 3 კანდიდატის შერჩევის წესი; გავაცნოთ პლატფორმის მხარდაჭერის პროექტი: „საქართველოს ეროვნული პლატფორმის შესაძლებლობებისა და ეფექტურობის გაზრდა“ და მუშაობის ანგარიში; საკოორდინაციო საბჭოს ოქმები);
- 28 თებერვლის არჩევნებთან დაკავშირებული შენიშვნების და წინადადებების განხილვა;
- პლატფორმის წესდებაში ცვლილებების შეტანის საკითხი;
- 2017 წლის მოლოდინები და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის განხილვა;
- პლატფორმის კომუნიკაციის სტრატეგიაზე მსჯელობა;
- პლატფორმის ურთიერთობა მთავრობასთან, პარლამენტთან და ევროკავშირის დელეგაციასთან, EaP პლატფორმებთან;
- ახალი წევრების მიღება;
- სხვა.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

ჯგუფის კოორდინატორებმა მოკლედ ისაუბრეს თავიანთი სამუშაო ჯგუფების შესახებ და ყურადღება გამახვილეს იმ გამოწვევებზე, რომლებიც ჯგუფების წინაშე დგას. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა სამუშაო ჯგუფების შეხვედრებზე ჯგუფის წევრების მცირე დასწრებაზე, ასევე წევრი ორგანიზაციების მწირ მოტივაციაზე აქტიურად ჩაერთონ პლატფორმის საქმიანობაში. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა პლატფორმის შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების დაბალ ხარისხზე და გამოითქვა ინიციატივები პლატფორმის შესახებ ინფორმაცია აქტიურად გავრცელდეს როგორც სატელევიზო ასევე ბეჭდვითი მედიის გამოყენების გზით. ცნობიერების ამაღლების საკითხზე მსჯელობისას, საბჭომ ასევე მიიღო გადაწყვეტილება პლატფორმის თავმჯდომარემ, პლატფორმის მხარდაჭერის პროექტის: „საქართველოს ეროვნული პლატფორმის შესაძლებლობებისა და ეფექტურობის გაზრდა“ დირექტორმა და ევროკავშირის წარმომადგენლობამ საქართველოში, პლატფორმის ძველი ვებ გვერდის გაუქმების თხოვნით მიმართონ ორგანიზაციას, რომელიც ამ დრომდე ადმინისტრირებას უწევს აღნიშნულ საიტს, თუმცა არ ანახლებს ინფორმაციებს და ამ გზით შეცდომაში შეჰყავს დაინტერესებული საზოგადოება.

სხდომაზე ყურადღება გამახვილდა სხვადასხვა ტექნიკურ საკითხზე, მათ შორის განცხადებების გავრცელებისა და მასზე მუშაობის წესზე. სამდივნოს წარმომადგენლის ინფორმაციით უკვე არსებობს სპეციალურად შექმნილი სისტემა, რომელიც დაემატება პლატფორმის ვებგვერდს და წევრებს შესაძლებლობა ექნებათ მეტად მოქნილ რეჟიმში განიხილონ განცხადება. პლატფორმის თავმჯდომარემ სამდივნოს სთხოვა აღნიშნული ტექნიკური ოპერაციის შესახებ მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია საბჭოს წევრებს, რის შემდეგაც საბჭო იმსჯელებს აღნიშნულ შემოთავაზებაზე და განიხილავს მისი პლატფორმის ვებგვერდზე დამატების საკითხს.

პლატფორმის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა საერთო კრებაზე გაჟღერებულ შენიშვნებზე და გამოთქვა მზაობა გაითვალისწინონ ობიექტური წინადადებები შემდეგი კრების ორგანიზების პროცესში. მან ასევე, განიხილა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმში მონაწილეობის საკითხი, რამდენადაც აღნიშნული პლატფორმის წევრების მაღალ დაინტერესებას იწვევს და სთხოვა სამდივნოს, პლატფორმის წევრებს მიაწოდონ ინფორმაცია მონაწილეთა შერჩევის წესის შესახებ.

გამოწვევებთან ერთად საბჭოს წევრებმა ისაუბრეს პლატფორმის მიერ განხორციელებული აქტივობების შედეგებზე. პლატფორმის თავმჯდომარემ შეაჯამა პლატფორმის საქმიანობა და მთავარ მიღწევებად ჩამოყალიბდა შემდეგი:

- ✓ საქართველოს მთავრობასა და პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან გაფორმებული მემორანდუმების ამოქმედება;
- ✓ იმერეთის მხარეში პლატფორმის რეგიონალური წარმომადგენლის მიერ თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება გუბერნიასთან;
- ✓ რეგიონალური წარმომადგენლობების გააქტიურება;
- ✓ სექტორალური შეხვედრები მთავრობასთან;
- ✓ პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება;
- ✓ ასოცირების სამოქმედო გეგმაში პლატფორმის წევრი ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინება

პლატფორმის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა არსებული შედეგების შენარჩუნებასა და მათი თვისობრივად გამოუჯგუხების გზებზე. მათ შორის, მემორანდუმის ტექსტში დამატების შეტანის გზით ან სხვა ტიპის შეთანხმების საფუძველზე, ეთხოვთ შესაბამის სამინისტროებს სექტორალური შეხვედრების შემდგომ, პლატფორმას მიაწოდონ ინფორმაცია პლატფორმის წევრების მიერ შეხვედრებზე გამოთქმული რეკომენდაციებისა და წინადადებების მათ მიერ გათვალისწინების ან არ გაზიარების შესახებ, რომელიც დასაბუთებული იქნება შესაბამისი არგუმენტებით; შემუშავდეს პლატფორმის მიერ შექმნილ პოლიტიკის დოკუმენტებზე ხარისხის კონტროლის მექანიზმი; სამუშაო ჯგუფებმა შეიმუშაონ შედეგზე ორიენტირებული სამოქმედო გეგმები; ასევე, დაიგეგმოს ერთობლივი ღონისძიებები პლატფორმის წევრთა მონაწილეობით, რათა მოხდეს მათი პლატფორმის საქმიანობაში ჩართულობის გაზრდა.

შემდეგ საკითხად საბჭომ განიხილა ორგანიზაციების: „სამოქალაქო განვითარებისა და ადამიანის უფლებათა ცენტრი“-სა და „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“-ს პლატფორმაში გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი სააპლიკაციო განაცხადები. მსჯელობის შემდეგ, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნულ ორგანიზაციებს ეთხოვთ წარმოადგინონ პლატფორმის წევრი ორი ორგანიზაციის მიერ გაცემული რეკომენდაციის წერილი ან თავად დაესწრონ შეხვედრას და ორგანიზაციის საქმიანობა გააცნონ საბჭოს. ამდენად, მათი გაწევრიანების საკითხი გადაიდო შემდეგ შეხვედრაზე განსახილველად.

დროის სიმცირის გამო, დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხების განხილვა გადაიდო საბჭოს მორიგი შეხვედრისთვის.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა